თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

იმიტირებული არჩევნები ქუთაისის უნივერსიტეტში

ცესკომ მიზნად დაისახა, რაც შეიძლება, მეტმა ამომრჩეველმა უშუალოდ ადგილზე გაიგოს ხმის მიცემის პროცედირების შესახებ.

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

ვენეციური შემოდგომა ქუთაისში

მარჯანიშვილის ქუჩაზე შველას ითხოვენ

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

№16 (755) 26 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

საარჩევნო გარემო ქუთაისში

ოპოზიციური პარტიის მაჟორიტარები ირიბ ზეწოლასა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე საუბრობენ

ქუთაისში წინასაარჩევნო პერიოდი, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. ყოველი შემთხვევისთვის, მაჟორიტარობის კანდიდატები სკანდალური განცხადებებით ბრიფინგებსა და კონფერენციებს არ აწყობენ. მაგრამ მაინც აღნიშნავენ, რომ გარემო კანდიდატებისათვის არათანაბარია. თუმცა, სიტყვა არათანაბარსაც სხვადასხვა პარტიასთან მიმართებაში აქვს სიმძიმის სხვადასხვა ფორმა, უფრო მეტიც ხანდახან სხვადასხვა შინაარსიც.

„ირაკლი ალასაინია — თავისუფალი დემოკრატების“ ქუთაისის მაჟორტარობის კანდიდატი ლელა სებუა ამბობს, რომ ყოველ დღე რამდენიმე შეხვედრა აქვს დანიშნული, ამომრჩეველს მშვიდ ვითარებაში ხვდება და პროვოკაციებს ადგილი არ აქვს.

„რომ ვთქვა, რაიმე ტიპის სიძნელეებია, ასე არ მახსენდება. მთავარი, რის გამოც საარჩევნო გარემო არის არათანაბარი — ფინანსებია, რაც, რა თქმა უნდა, ქმნის სხვადასხვა პრობლემებს,“ - აცხადებს ლელა სებუა.

საარჩევნო გარემო მეტ-ნაკლებად თანაბარია „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ ბლოკის „გირჩელი“ მაჟორიტარობის კანდიდატისთვის. თემურ ცამციშვილის თქმით, არის ზეწოლის გარკვეული შემთხვევები. ადამიანები, რომლებიც დასაქმებულები არიან სახელმწიფო სტრუქტურებში, განიცდიან ირიბ ზეწოლას.

ირიბი ზეწოლის კონკრეტულ შემთხვევებს ბატონი თემური არ ასახელებს. ამბობს, რომ აღნიშნულის შესახებ მონაცემები ცენტრალურ ოფისს აქვს და თუ საჭირო იქნება, ის გაასაჯაროებს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის საარჩევნო შტაბის უფროსი თემურ ხურციძე პარტიის საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტებზე საუბრობს.

თემურ ხურციძე: ,,რამდენიმე დღის წინ მოვიდა დასუფთავების სამსახური და გვითხრა, რომ ელექტრობოძებზე გაკრული პლაკატები ჩამოგვეხსნა, რატომ უნდა ჩამოვხსნათ? პირველად „ოცნებამ“ გააკრა ბოძებზე პლაკატები, მოგვცენ მაგალითი, ჯერ მათ ჩამოხსნან და მერე ჩამოვხსნით ჩვენ.

გუშინ კიდევ ოფისს წყალი ჩაუჭრეს, არადა ტრენინგი გვქონდა, 200-მდე ადამიანი იყო იმ დღეს მოსული, ბოლოს-დაბოლოს საპირფარეშოთი ხომ უნდა ესარგებლათ? მართალია, დღეს უკვე აღდგენილი გვაქვს წყალი, მაგრამ რა მიზეზით ჩაჭრეს, ვერ გვეუბნებიან. რამდენიმე თვეა უკვე ოფისი დაქირავებული გვაქვს, წყლის ფულს ვიხდით და ახლა გაარკვიეს რომ, როგორც ორგანიზაციას, სხვა ტარიფი გვეკუთნოდა?

პრობლემა გვქონდა შენობის დათმობასთან დაკავშირებითაც. გვინდოდა, შეხვედრა ოპერის თეატრში გაგვემართა, თუმცა, მაშინ უარი გვითხრეს იმ მიზეზით, რომ შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. არადა ზუსტად იმ დღეებში ოპერაში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. სხვა კონკრეტულ ზეწოლის ფაქტებზე მე პირადად ინფორმაცია არ მაქვს, ჩვენი პარტიის მაჟორიტარები დადიან შეხვედრებზე და ისეთი არაფერი უთქვამთ“.

რესპუბლიკელი ნატო ქათამაძე, რომელიც ქუთაისის #48 მაჟორიტარულ ოლქში იყრის კენჭს, ყოველდღიურად უამრავ შეხვედრას მართავს.

„ვერ ვიტყვი, რომ შეხვედრებში ვინმე ხელს მიშლის. პირადად ჩემთვის ძალიან პოზიტიურია მოსახლეობასთან შეხვედრები. თუმცა, ხელიუფლება იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, როცა არჩევნებამდე 10 დღით ადრე მუნიციპალიტეტის შენობაში მართავ უფასო სამედიცინო შემოწმებებს, რა თქმა უნდა, კანონდარღვევა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა. თუ ადამიანს სჭირდება სამედიცინო შემოწმება, ის მიდის არა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში, არამედ სამედიციო დაწესებულებაში.“ - ამობობს ნატო ქათამაძე.

ყველაზე მწვავედ საარჩევნო გარემოს ნაციონალები აფასებენ. მაჟორიტარობის კანდიდატის გია თევდორაძის პიარი ქეთი დეისაძე ამბობს, რომ გარემო არათანაბარია.

„დავიწყოთ შეკრების ადგილიდან, როცა შეხვედრა გვინდოდა, არ დაგვითმეს ოპერის თეატრი. ცოტა ხნის წინ ქართულ-გერმანულ ცენტრში გვსურდა გერმანელი სტუმრის მიღება, გვინდოდა, სტუდენტებთან შეხვედრა, თუმცა, ცენტრმა უარი გვითხრა.

ღიად და დაუფარავად იყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს, თავიანთ შეხვედრებსა და ყრილობებზე ბაღების გამგეები დაჰყავთ, იყენებენ ტრანსპორტის სამსახურის მიკროავტობუსებს, ჩვენს მომხრეებს და კოორდინატორებს ემუქრებიან. შეხვედრებზე ძალიან ბევრი ხალხი მოდის, მაგრამ როგორც კი კამერას ჩავრთავ, ხალხი თავს გვარიდებს. მოდიან და გვეუბნებიან, თქვენი მომხრე ვართ, მაგრამ ჩვენი შვილები საჯარო სამსახურში მუშაობენ და გვეშინია დაფიქსირებისო.

ასე რომ, ეს არის ყველაზე არათანაბარი გარემო, რაც კი ოდესმე ყოფილა.“

„ბრწყინვალე“ - ასე ერთი სიტყვით აფასებს სახელისუფლებო კანდიდატი გენადი მარგველაშვილი საარჩევნო გარემოს. ის თვლის, რომ ასეთი კარგი საარჩევნო გარემო საქართველოში აქამდე არ ყოფილა.

ახლა არ არის 2012 წელი, როცა შეურაცხყოფილი ადამიანები დაირაზმნენ. „ქართული ოცნება“ არის უალტერნატივო, ამიტომ ჩემი კონკურენტების საუბარი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და ირიბ ზეწოლაზე არის წინასწარ თავის დაზღვევა. მათ იციან, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, ამიტომ წინასწარ იზღვევენ თავს.“ - აცხადებს გენადი მარგველაშვილი.

ერთი სიტყვით, საარჩევნო გარემოს შეფასების შკალის ნულ წერტილთან ნაციონალები დგანან, ბრწყინვალების მწვერვალთან — „ოცნება“, დანარჩენი პარტიები შიგა სივრცეში არიან განლაგებულები, თუმცა, შკალაზეც ადგილები ნებისმიერ დროს შეიძლება გადანაცვლდეს. არჩევნებამდე ორ კვირაზე ცოტა ნაკლები დარჩა.

მაკა ჩინიჯიშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

იცოდე შენი უფლებები

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

PS news.ge
ISSN 1987-7056

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

ხმის მიცემის პროცედურები

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება

მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი



კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი (ყოველ საარჩევნო ბიულეტენში)

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადміністრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი
"ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის"
ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა დ
სწავლების ცენტრ

„ქართული ოცნება“ ხალხთან

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი 48-ე საარჩევნო ოლქში დიმიტრი მხეიძე ამომრჩევლებთან შეხვედრებს აგრძელებს. არაყიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩის მოსახლეობასთან დაგეგმილ შეხვედრებს წინა მოწვევის პარლამენტარები ელისო ჩაფიძე და გიორგი კახიანი შეუერთდნენ. პარლამენტარებმა დიმიტრი მხეიძეს მხარდაჭერა გამოუცხადეს.

„ჩვენი გუნდი მომავალი 4 წლის განმავლობაში შექმნის კიდევ უფრო მოსახერხებელ სერვისებს ჯანდაცვაში, განათლებაში, მეწარმეობის განვითარებაში, რადგან განსხვავებით 2012 წლისგან, დღეს გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული რეალობა. მოხარული ვარ, რომ მონაწილეობის მიღება მომიწევს ისეთი ეპოქალური ცვლილებების განხორციელბაში, როგორიცაა ქუთაისისთვის საუნივერსიტეტო და საგანმანათლებლო ქალაქის სატატუსის ჩამოყალიბება, - განაცხადა დიმიტრი მხეიძემ, — მომავალი 4 წელი გადამწყველი ცვლილებების წლები იქნება ჩვენს ცხოვრებაში."

„მე მოხარული ვარ, რომ საქართველოს პარლამენტში დიმიტრი მხეიძის სახით მოღვაწეობა მოუწევს ადამიანს, რომელმაც კარგად იცის ჯანდაცვის სფეროში ჩართული ყველა მხარის ძლიერი და სუსუტი მხარეები.“ - განაცხადა გიორგი კახიანმა.

„მინდა აღვნიშნო, რომ 2012 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს ბიუჯეტში სოციალური და ჯანდაცვის საკითხების დაფინასება, - განაცხადა გიორგი კახიანმა, - სოციალური საკითხების დაფინანსების მაჩვენებელი წლითი-წლობით მატულობდა. ეს ჩვენი მოღვაწეობის საამაყო მხარეა. საქართველოს პარლამენტში 4 წლის წინ მოქალაქეთა შემოსული განცხადების თითქმის ნახევარზე მეტი ეხებოდა სწორედ ხელმიუწვდომელი ჯანდაცვის პრობლემებს. ბოლო წელს მსგავსი განცხადებებით კანტი -კუნტად მოგვმართვაენ და ესეც პაციენტის დასაფინანსებელი 10 : იანი დაფინანსების დახმარების თხოვნაა.“

არაყიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩის მოსახლეობასთან შეხვედრას ესწრებოდა ტყიბულის მაჟორიტარი ელისო ჩაფიძე.

„მე მოხარული ვარ, რომ ამიერიდან, ახალი საარჩევნო კანონის შესაბამისად, ისეთ დიდ ქალაქს, როგორიც ქუთაისია, საქართველოს პარლამენტში ეყოლება სამი წარმომადგენელი. - განაცხადა ელისო ჩაფიძემ, — იყო გარკვეული უხერხულობა, როცა მე წარმოვადგენდი 22 ათასი ამომრჩევლის ხმას და ქუთაისის მაჟორიტარი 150 ათასი ადამიანის წარმომადგენელი იყო. გაცილებით ადვილია ეკონტაქტო მცირე რაოდენობის ამომრჩეველს და იყო მათი სატელეფონო ზარების მოპასუხე, იყო მათი მხარდამჭერი პრობლემების მოგვარებასა და მხარდაჭერაში.“

იმიტირებული არჩევნები ქუთაისის უნივერსიტეტში

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივით, საარცევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ქუთაისის უნივერსიტეტში ამომრჩევლებისთვის იმიტირებული კენჭისყრა გაიმართეს. ცესკოს წარმომადგენლება ამომრჩეველს მიაწოდეს ინფორმაცია საარჩევნო უბანზე ქცევისა და ხმის მიცემის პროცედურის შესახებ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეუთოს დამკვირვებლები, რომლებიც წელსაც გაუწევენ მონიტორინგს საარჩევნო პროცესებს. დამკვირვებლებმა შეკრებილ საზოგადოებას სიტყვითაც მიმართეს.

„უკვე ორი კვირაა, იმერეთის რეგიონში ვიმყოფები. ჩვენ ვხვდებით პოლიტიკური პარტიების, ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მედიას და სასამართლოს სტურქტურებს. და, რა თქმა უნდა, არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვან მონაწილეს, ამომრჩევლებს. თქვენი როლი მნიშვნელოვანია არა მარტო კენჭისყრის დღეს, არამედ, არჩევნებამდე და მის შემდეგაც. ჩვენ წელსაც აქტიურად ვადევნებთ თვალს საარჩევნო პროცესებს და ვეცდებით, პროცესი რაც შეიძლება, გამჭირვალე და დემოკრატიული იყოს.“

- ძალიან მომეწონა იმიტირებული საარჩევნო პროცესი. ვფიქრობ, ყველამ უნდა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს როცა საარჩევნო უბანზე მივა. მე წელს პირველად ვიღებ არჩევნებში მონაწილეობას და დღევანდელი გამოცდილება ნამდვილად დამეხმარება - განაცხადა იმიტირებულმა ამომრჩეველმა რუსო ლომინაძემ.

- აღნიშნული პროცესი ძალიან საინტერესოა, რადგან ამომრჩეველთა უმრავლესობამ არ იცის, როგორ უნდა მისცეს ხმა. ამიტომ ცესკომ მიზნად დაისახა, რაც შეიძლება, მეტმა ამომრჩეველმა უშუალოდ ადგილზე გაიგოს ხმის მიცემის პროცედირების შესახებ. ამისთვის გამოვიყენეთ ჩვენი საგრანტო პროექტით დაფინანსებული ორგანიზაციები, რომლებმაც მოახდინეს ხალხის მობილიზება. შეხვედრები ინტენსიური ხასიათისაა და აქტიურად გაგრძელდება 8 ოქტომბრამდე - გვითხრა თორნიკე გოგისვანიძემ, ცესკოს სწავლების ცენტრის სერთიფიცირების განყოფილების სპეციალისტმა.

იცოდე შენი უფლებები

1. რას ნიშნავს გენდერი?

პასუხი: ტერმინი გენდერი (ინგლ. Gender, ლათ Genus) სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო-კულტურული ასპექტის აღსანიშნავად გამოიყენება. ეს არის სოციალური სქესი, განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებით, გენდერი სქესის სოციალურ განზომილებას წარმოადგენს, რომელიც ასახავს მამაკაცად და ქალად ყოფნის თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში.

2. რას ნიშნავს გენდერული სტერეოტიპი?

პასუხი: ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, გაბატონებული შეხედულება ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლების შესახებ, ანუ, როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან მამაკაცი ამა, თუ იმ საზოგადოებაში. კულტურისა და საზოგადოების ცვლილებასთან ერთად იცვლება ქალისა და მამაკაცის სოციალური როლიც. საზოგადოების შეხედულებების გამო ხშირ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ოჯახის საქმეები და შვილების აღზრდა ქალის საქმეა, ხოლო მამაკაცს ოჯახში ეკონომიკური დომინანტის როლი აკისრია. შესაბამისად, გენდერს, ქალისა და მამაკაცის სოციალურ სქესს თავად საზოგადოება ქმნის და იგი დამოკიდებულია იმ კულტურულ ნორმებზე და ფასეულობებზე, სადაც ისინი იმყოფებიან.

3.რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა?

პასუხი: გენდერული თანასწორობა სოციალური სამართლიანობის პრინციპზეა დაფუძნებული, იგი ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია და ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად ისარგებლონ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

4.რას ნიშნავს გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია?

პასუხი: დისკრიმინაცია (ლათ. Discriminatio — განსხვავება) ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, უსამართლო მოპყრობას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია გულისხმობს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან/და შეზღუდვას, რაც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან სრული უარყოფით.

5.რას ნიშნავს სექსიზმი?

პასუხი: ცნება სექსიზმი 1918 წელს შემოიღო იუნესკომ, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს. იგი მოიცავს იმ სოციალურ სტერეოტიპებს, რწმენებსა და წარმოდგენებს, რომელიც ერთი სქესის წარმომადგენლის მეორეზე დომინირებას აწესებს და გენდერული უთანასწორობის საფუძველს ქმნის.

სექსიზმის დეფინიციიდან გამომდინარე, გენდერული დისკრიმინაცის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, როგორც მამაკაცი ასევე ქალი. თუმცა მსოფლიოში გაბატონებულ კულტურათა უმრავლესობა პატრიარქალურია და შესაბამისად სექსიზმის მხსვერპლნი უფრო ხშირად ქალები ხდებიან.

რუბრიკის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

„ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქი“ — ეს არის ახალი სუნთქვა...

ქუთაისი ტრადიციულად იყო ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ცხოვრების ცენტრი. ბოლო პერიოდში, მძიმე ეკონომიკურ-სოციალურმა პირობებმა ამ როლის შესუსტება განაპირობა. მასიურად ხდება ქალაქიდან პოლიტიკური და ინტელექტუალური რესურსის გადინება, რაც ქუთაისის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსმა ქუთაისს რეალურად უნდა დაუბრუნოს რეგიონის, დასავლეთ საქართველოსა და ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ქალაქის ფუნქცია. კვლავ გახდეს პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრი. საპარლამენტო დედაქალაქი ნიშნავს: მეტ სამუშაო ადგილს, მეტ ინვესტიციას, მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას, გაუმჯობესებულ საცხოვრებელ პირობებს.

საპარლამენტო დედაქალაქის ბიუჯეტი მოგვცემს შესაძლებლობას მოგვარდეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა გზები, შიდა საქალაქო ტრანსპორტი, ქალაქის 24 საათიანი წყალმომარაგება თუ მრავალი სხვა პრობლემა. რაც ყველაზე მთავარია, გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი. გაიზარდება უმწეოების, მარტოხელების, მარჩენალდაკარგულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი დედებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ფენების დაფინანსება. სტუდენტები და პენსიონერები ისარგებლებენ შეღავათებით ტრანსპორტზე, გადაუდებელი აუცილებლობისათვის მოქალაქეები მიიღებენ მატერიალურ დახმარებას.

„ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქი“ არ ნიშნავს მხოლოდ ქალაქის წინვლას. ეს იყო და არის მთლიანად რეგიონის განვითარების გეგმა. პროექტის ფარგლებში უკვე გაიხსნა პრომეთეს მღვიმე, ოკაცეს კანიონი, შეკეთდა სათაფლიის ნაკრძალი და მოწამეთის კომპლექსი, დაიწყო გელათის რეაბილიტაცია და გაიხსნა სასულიერო აკადემია, ასევე მოხდა ბაგრატის ტაძრის, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ნიღბების თეატრის სრული რეკონსტრუქცია, ქალაქის ცენტრის რეაბილიტაცია.

აშენდა სპორტის სასახლე, აღდგა ქუთაისის ცენტრალური სტადიონი, მოეწყო საცურაო აუზი, საჩოგბურთო კორტები, გაკეთდა აკვაპარკი. პროექტით გათვალისწინებული იყო ვანის მუზეუმის ძველი შენობის რესტავრაცია და ახლის აგება, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდებოდა ანტიკური ხანის არქიტექტურული პარკი, ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის გაიხსნებოდა მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ცენტრი. სწორედ ამ პროექტით წყალტუბო გახდებოდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი საკურორტო ქალაქი.

იგეგმებოდა ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებული გვირაბის მშენებლობა.

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტს უნდა ჰქონოდა როგორც სატვირთო, ასევე სამგზავრო აეროპორტის ფუნქცია. ეს ყველაფერი ერთად შეუწყობდა ხელს ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისებას და ქუთაისი გახდებოდა იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს ტურისტული ცენტრი. რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას ემსახურებოდა ქუთაისის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, რაც ასევე განაპირობებდა მეტ სამუშაო ადგილსა და მეტ ინვესტიციას. „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ დროებით შეაჩერა ყველა პროექტი.

8 ოქტომბრის გამარჯვებით ჩვენ ვუზრუნველყოფთ საქართველოს წინსვლასა და მის შეუქცევად განვითარებას!

„ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქი“ - ეს არის ახალი სუნთქვა, ეს არის ძლიერი ქალაქი, ძლიერი რეგიონი-ძლიერი ქვეყნისთვის.

აკაკი ბობოხიძე
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქუთაისში, №48 საარჩევნო ოლქში

ვენეციური შემოდგომა ქუთაისში

ქუთაისში, მარჯანიშვილის N24 მცხოვრებ მოქალაქეებს წვიმიან ამინდში გარეთ გამოსვლა არ შეუძლიათ, რადგან სადარბაზოები და ეზო მთლიანად წყლით იფარება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დისკომფორტთან ერთად სფრთხესაც უქმნის მათ, განსაკუთრებით კი პირველი სართულის მცხოვრებლებს.



„P.S.ფოტო“ ლიკა დევდარიანი ©

„P.S.ფოტო“ ლიკა დევდარიანი ©

საცხოვრებელ ბინებს მკვეთრი ბზარები აღენიშნება, შენობა ვიზუალურადაც დეფორმირებულია. აწუხებთ ნესტი და აქედან გამომდინარე, მორიელები. ორსართულიან საერთო საცხოვრებელში, სულ ცხოვრობს რვა ოჯახი, რომელთა უმრავლესობასაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. ყოველი წვიმის მოსვლისას ისინი, ფაქტობრივად, მოწყვეტილი არიან გარესამყაროს.

გაზეთი P.S. დაინტერესდა აღნიშნული პრობლემით და მოსული უხვი ნალექის შემდეგ ადგილზე შეეცადა სიტუაციაში გარკვევას. გავესაუბრეთ ბინის ერთ-ერთ მცხოვრებს, გია ჩიხლაძეს.

„თქვენც ხომ ხედავთ, რა სიტუაციაა, ამ მდგომარეობაში ვცხოვრობთ წლებია. სულ რაღაცას გვპირდებიან, მაგრამ, ჯერჯერობით, არაფერი გაუკეთებიათ. იქნებ, არჩევნების მერე მაინც მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც მოგვხედავს. მე, პირადად, ავადმყოფი შვილი მყავს სახლში, ხშირად მჭირდება სასწრაფოს გამოძახება, მაგალითად, დღეს რომ დამჭირდეს, ვერ გამოვიძახებ, აქ ექიმი როგორ უნდა შევიყვანო? წინა დღეს შვილიშვილი ვერ გამოვიყვანე გარეთ, რადგან ეზო მთლიანად დატბორილი იყო. რამდენჯერმე ადგილობრივ თვითმმართველობასაც მივმართეთ, მოვიდნენ, ერთჯერადად გაწმინდეს არხები, მაგრამ ამით პრობლემა არ მოგვარდა, რადგან მთავარი სანიაღვრე სისტემაა მოუწესრიგებელი“.

ჩვენი მისვლიდან ნახევარ საათში ადგილზე გამოცხადდა ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენელი, რომელსაც სიტუაციის შეფასება ვთხოვეთ. სანიაღვრე სისტემის დათვალიერების შემდეგ მან განაცხადა, რომ არხები სავსეა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, რის გამოც სისტემაში დამონტაჟებული საცხაურები წყალს ვერ ატარებს და გადმოდის კალაპოტიდან, რაც იწვევს ტერიტორიის დატბორვას.

არხებიდან ნაგვის ამოსატუმბად მან სამაშველო რაზმი გამოიძახა. ამასობაში წვიმამ გადაიღო და წყლის დონემაც იკლო. უახლოესი მომავლისთვის კი მოსახლეობას დაპირდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უფრო დიდი მოცულობის არხებს დაამონტაჟებს.

გაზეთი P.S. თვალყურს მიადევნებს აღნიშნული პრობლემის მოგვარების საკითხს. იმედს ვიტოვებთ, რომ მარჯანიშვილი N24-ში მცხოვრებლებს ბუნება და მერიის კეთილმოწყობის სამსახური ვენეციური შემოდგომითვის არ გაიმეტებს...

ლიკა დევდარიანი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას. — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი. ● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge